



გაზეთის ფასი

გაზეთი: ერთი წლით — ექვსი მან., ნახევარი წლით — სამი მან., სამი თვით — ერთი მან. და ხუთმეტრი შაური, ერთი თვით — სამი აბაზი.

წერილები ამ აღრესით უნდა გამოგზავნონ: Въ Тяжелъ, въ редакцію газеты „ДРОБЪ“.



ხელის-მოწყობის...

მფლობელი: გაზეთის „დროების“ კონტორი... მეთათსში: ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

გაზეთი შემდეგი აღრესით უნდა დაიბაროს: Въ Тяжелъ, въ контору газеты „ДРОБЪ“.

რედაქცია: ძველი ინსტიტუტის ქუჩაზედ, სოლომონ მირიანაშვილის სახელობაში.

ქანტარა: ივანოვის ბიბლიოთეკაში, სასახლის მედინაზე, შაურის სახელობაში.

მ ი ნ ბ ა რ ს ი:

ს ა ქ ა რ თ ე ე ლ ო : საყოველთაო სამხედრო სამსახური — ნეკროლოგი — წერილი ამბები — „ღროების“ კორრესპონდენცია: მოსკოვიდან — პასუხი — წიგნი რედაქტორთან — რუსეთი უცხო ქვეყნები: საფრანგეთი — გზისმკვლელობა. შეტყობი: უფ. შურცელაძის დავის დავიგონებება, ნ. სკანდელისა.

საქართველო

საყოველთაო სამხედრო სამსახური

მინ იტყვი, რომ ომიანობის მოსაზრების სურვილი ცუდი იყო და კაცობრიობის წინ წაწევა უხმლოთ, უთოფოთ და სისხლის დაუღერელათ სანატრელი არ იყო? რომ ეს შესაძლებელი იქნება როდისმე — ამას ეჭვი არ აქვს, და ვისაც ეს არ სჯერა, იმას უთუოდ არც კაცობრიობის პროგრესი სწამს. მაგრამ ესლანდელი ქვეყნების პოლიტიკური მდგომარეობა გვიმტკიცებს ჩვენ ცხადათ, თუ რამდენათ შორსა ვართ ჩვენ ამ სანატრელ დროზე. უწინაც და ამ ჩვენ საუკუნეშიაც ბევრი მაგალითი გვაქვს, რომელიც გვიჩვენებს, რომ ხშირათ სამხედრო ღონეს ბოროტათ ხმარობენ და სამხედრო ღონე, ნაცვლათ რომელიმე ნაციის ინტერესის, მისის თავისუფლების და კაცობრივი უფლების დაცვის...

ფალტონი

უფ. შურცელაძის დავის დავიგონებება

„ქრებული“, 1873, მათე წიგნი. სტატია: „ქანასკნელი სიტყვა“ უფ. ანტ. შურცელაძისა.

ის მსგელობა, რომელიც ჩვენ მივეცით შარშანდელს ჩვენს პოლემიკას უფ. ანტ. შურცელაძესთან (ნახე „ქრებული“ 1872 № 12, 1873 № 7, „მათობი“ 1872 № 12 და „ქრებული“ 1873 № 10), მოითხოვს ჩემგან ორიოდე სიტყვის თქმას, უფ. შურცელაძესთან პოლემიკის დასაბოლოებლათ. ამ მიზნით ჩვენ უნდა გვეხსენოთ მკითხველს პოლემიკის უკანასკნელი ფაზისი. როცა უფ. შურცელაძემ, ჩვენი აზრების დასარღვეველათ, ჩვენ მწერლურ პატიოსნებას და პიროვან ხასიათს და ცხოვრებას ძაგება დაუწყუა, ჩვენ ამგვარი ცილისწამების მოსასაზოებლათ აი რა წინადადება მივეციით უფ. შურცელაძეს (ნახე „ქრებული“ 1873, № 7, გვერდი 228 და 229).

მთუ იმას (ანტ. შურცელაძეს), — გვწოდით ჩვენ — ერთი ოდნათ მაინც სჯერა ის, რაც თვითონ დაუწერია და დაუბეჭდას ჩემზე თავის სტატიაში, თუ იმას მართლა ჰგონია, რომ მე უპატიოსნო კი არა, ცოტაოდნათ ძაგების ღირსი ვარ, პიროვანი მხრით, თუ იმას მართლა ის აზრი აქვს გულში, რომ ჩემს საზოგადოებრივ მოქმედებას პიროვანი მიზანი აქვს, — გამობრძანდეს, განიხილოს მთელი ჩემი ცხოვრება, შეკრიბოს რაც უნდა ცნობები, ჭორები და ხმები, და მითითებით, თითოეული ჩემი მოქმედების დასახელებით და აწერით დაუმტკიცოს საზოგადოებას ჩემი უსინდისობა და უფარვისობა. მთუ ბიჭია, თუ უმსაგავისი ცილისწამებელი არ არის, გამოვიწვევთ, რომ...

სა, რომელი არის პირდაპირი დანიშნულება ყოველი გონიერათ შედგენილი სამხედრო ნაწილისა, ზოგიერთი ყლაპების და სევეების მიზანს იცავს. მაგრამ რომელიმე საშუალება კაცმა ბოროტათ რომ მოიხმაროს, ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ეს საშუალება ბოროტი იყოს და კეთილ საქმეს კაცმა იმით ვერ შეიწიოს. რამდენათ ესლანდელ დროში სამხედრო ნაწილის გაუმჯობესობა საქირა საზოგადოებისეც სასარგებლოთ, ამის თაობაზე ჩვენ აქ ბასას არ გავაგრძობთ, რადგანაც ამასვე ჩვენ საქმოდ ვილაპარაკეთ ერთ ჩვენ სტატიაში, რომელიც იყო დაბეჭდილი 1873 წლის „ღროებში“ ამ სათაურით: „ომიანობის მნიშვნელობა კაცობრიობის ცხოვრებაში.“

ამ სტატიას ესწერთ ჩვენ ახალი გამოცემული საყოველთაო სამხედრო სამსახურის წესდების გამო, და ჩვენი სურვილია ვსთქვათ, თუ რა თვისება და გავლენა ექნება ამ წესდებას რუსეთის ხალხზე. შევლამ იცის, რომ ერთი უმთავრესი რეფორმა ამ უკანასკნელ საუკუნეში რუსეთის იმპერიაში იყო გლეხების განთავისუფლება; მაგრამ ეს განთავისუფლება ჯერ-ჯერობით სრული არ იყო; უმაღლესი საზოგადოება ე. ი. თავდაზნაურობა ჯერ კიდევ თავიანთ ძველ კლასობაში იდგა და ისევ სარგებლობდა თავისი მამა-პაპური ქეთილშობილური მდგომარეობით. ჩვენის აზრით ძლიერ დიდი ხანი გაივლის სანამ რუსეთის დაბალი ხალხი ამ უმაღლეს საზოგადოებას გაუსწორდებოდეს. ამ გასწორებისათვის სა-

ამ გვარი საფუძვლიანი გამოძიებით და გამოკვლივით დამტკიცოს თავისი უსაფუძვლო აზრი, ვითომ მე ძაგების ღირსი ვიყო. მთუ იმას „მათობი“ აღარ აქვს, თუ იმას ცალკე წიგნათ ბეჭევა არ შეუძლია, გავიხსენია იმისთვის „ქრებულის“ ფურცლები. ჩვენ მის ნაწერს ამ საგანზედ, რაინდ უმსგავსო და სასტიკი ცილისწამებით და დაბრალებით იყოს ის გაგნებული, ხელუხლებლათ, შეუცვლელათ, სრულად დაუბეჭდავთ... ამ პირობებით ნებას ვაძლევ გასინჯოს მთელი ჩემი წარსული, თითოეული ჩემი ნაბიჯი და უამბოს, როგორც ისურვებს, რაინდ სასტიკი ძაგებით ან გინებით იყოს, ჩვენს მკითხველს საზოგადოებას. შევლავურს დაუბეჭდავთ ყველაფერზე ახსნას და პასუხს მივეცით, და მკითხველმა მაშინ გასინჯოს საქმე და სჯა დაადგინოს.

მგონია ამისთანა ცხადი გამოწვევა, ნათლად გამოკვლეული მიზნით, ადვილათ გასაგები იყო უფ. შურცელაძისთვის, რომლის მხრით ამ გამოწვევის მიუღებლობა ყოველად შეუძლებელი საქმე უნდა ყოფილიყო. შეუძლებელია, ამას გარდა, ეჭვი აიღოს კაცმა, რომ უფ. შურცელაძის ადგილზე ყოველი სინდისიანი და პატიოსანი კაცი ან რამე საფუძვლიანს დაუმტკიცებან მოიყვანდა ჩემი უსინდისობისას, ანა და გულწრფელათ აღიარებდა თავის შეცდომას. ჩვენსა სამწუხაროთ უფ. შურცელაძე სულ სხვაფრედ იქცევა. სამი თვის ლოდინის შემდეგ იმან გამოგზავნა „ქრებულის“ რედაქციაში თავისი ვითომ „ქანასკნელი სიტყვა“, იმ პირობით და თხოვნით, რომ ეს სიტყვა დაბეჭდილიყო ისე, რომ ჩვენის მხრით მასზე შენიშვნები არ გავეცეთებია. ჩვენ არ ჩავაკვირდებით იმ მიზანს, რომელიმეც ეს თხოვნა გამოათქმევინა უფ. შურცელაძეს, და პირდაპირ გარდავალოთ მის „ქანასკნელ სიტყვაზე“.

ზემოთ მე ამოვეწერე ჩემი გამოწვევა, და მკითხველი ადვილათ მიხვდება რაზე, რისთვის და როგორ ვიწვევდი მე უფ. შურ-

ცელაძეს. მნახოთ ესლა, რაში არწმუნებს ეს კაცი ჩვენ მკითხველებს ჩემი გამოწვევის ხასიათზე: „უფ. რედაქტორა, — სწერს ის — თქვენს ჟურნალში გამოითხოვა უფ. სკანდელმა, რომ დამემტკიცებინა მისთვის ის ლაპარაკი, რომელიც მე შეიძნა მაგის ხასიათის სიჩვენებლათ მოყვანილი, მნახოთ.“ მე არას ვიტყვი იმაზედ, რომ საგანი ჩვენი პოლემიკისა სრულად არა ყოფილა არც მაგისი და არც ჩემი მასთან კერძო ლაპარაკი. იმითაც იყო კიდევ, რომ როდესაც მე მოჰყვა ბეჭდვით ტრაბანსა, რომ ესა და ეს უთხარ მე შურცელაძესა, მე იმაზედ მხოლოდ ვაკვირო, კერძოთ ვავეცი პასუხი. თანხმად ამისა, იმის მაგიერ, რომ უფ. შურცელაძეს ჩემ გამოწვევაზე ხმა ამოეღო და მისი მოთხოვნა აესრულებინა, ის მთელს ჩვენს პოლემიკას განზე ავდებს და ერთი კერძო კითხვის გარეგით მკითხველს საზოგადოებას თვალს უხვევს — აქაო და დაუმტკიცე სკანდელს, რომ იმან დააკვევნა ფრანკუზებს შურცელაძის ჩამოხრჩობის რჩევა მივეცია და მერმე კი გადათქვა ეს დაკვევნა. ბავშვიანად ვერც ეს კერძო კითხვა. ჯერ იმას ვაეხსენებ, რა დაეწერე მე ამ საგანზე „ქრებულის“ მეშვიდე წიგნი (გვერდი 222):

„მიმოწმებ ყველა ახალგაზრდებს, თითქმის ასოიდე კაცს, რომელმაც მე ძლიერ ხშირათ ამ საგანზე მილაპარაკნია. მითქმას როდესმე ვისმესთვის ამ გვარი რამ თუ არა.“

ღღეს უფ. შურცელაძე გვიწერს, რომ მისი პასუხი მართა იმითაც დაგვიანდა — სამი თვით — რომ კაცი, რომელითაც მხოლოდ მტკიცე არის დაწერილობით სიტყვები უფ. ნიკოლაძისა, აქამდის არაინ მიხვებოდა. მთელ ჩვენს ნასწავლ ახალგაზრდებში იმას ვერც ერთი მოწამე ვერ მოუძიდა და როგორც არის უმოწმე ვერ მოუძიდა მასილ თარხანოვი, რომელიც მოწამებას აძლევს შურცელაძეს, რომ ნიკოლა-

ძემ ჩემთან სთქვა, ფრანკუზებს შურცელაძის დარჩობას ურჩევდოა. რაღა ლაპარაკი უნდა, რომ ჩემი სიტყვები გამოწვევა ყველა ახალგაზრდებს, თითქმის ასოიდე კაცს, რომელითაც მე ძლიერ ხშირათ ამ საგანზე მილაპარაკნია, მასილ თარხანოვს სრულიად არ შეეხებოდა, ამიტომ რომ ამ სიტყვებით ცხადათ სჩანს, რომ მე გამოწვევა იმ პირებს, რომელითაც გავება და მიხვდებოდა აქეთ ამ გვარი ლაპარაკისა. მე ჩვეულებათ არა მაქვს იმ გვარ კაცებთან ლაპარაკის გამართვა, რომელიც — გონებითი გახსნით — ჩვენს მოხუცებზე ბევრათ მაღლა არა დგანან, და არა მაგონია, რომ ვინმემ გამართოს ამგვარი საუბარი პირველ შემხედარ უმეცარ და უსწავლელ იურკებთან. აქ მე იმასაც დაუმატებ, რომ როგორც უფ. შურცელაძე გააბრაზა ჩვენზე მისი „მტკიცე“ და სხვა სტატუტების „ქრებულში“ და „ღროებაში“ დაუბეჭდებლობამ, ისე უფ. მასილ თარხანოვსაც ჩარჩენია „ქრებულის“ რედაქციაში ორიოდე ვითომ-კომპილიტი, და ამ მიზეზის გამო უფ. შურცელაძეს ისეთი მოწყმე როდი უნდა მოეყვანა, რომელიც უწებურათ ყველას მელის და მისი კულის ამბავს ვახსენებ.

მაგრამ ამ შემთხვევას ერთი მეტის მეტათ შესანიშნავი კული მოაღვეს, რომელიცდაც მე მინდა მივაქციო განსაკუთრებით ყურადღება ჩვენი მკითხველებისა. მე დავეწერე „ქრებულში“ (მეშვიდე წიგნი, გვერდი 225, შენიშვნის უკანასკნელი ოთხი სტრიქონი): „შურცელაძე ხომ არა ვარ არ ვიცი, რომ საფრანგეთში ჩამოხრჩობით დასჯა კანონით ადრეაღებულია და იქური საზოგადოებრივი აზრის და წესობის წინააღმდეგია.“

მთავის „ქანასკნელ სიტყვაში“ უფ. შურცელაძე აი. რანაირათ ასხვეთერებს ამ ჩემს სიტყვებს:

ლიბის, არც ლაეუზიეს, არც შექსპირს და არც სხვა გამოჩენილს კაცებს არ შეუძლია იმ ხალხის და ცივილიზაციის დამაგრება, სადაც იმათი ნათქვამი აზრი და ნაყოფი მხოლოდ ასა და ორასს მართა ესმისთ და მილიონი ხალხი კი გამოუხსნელ სიბნელეში ცხვირსა და შუბლს იხეთქავს. ამ მხრით რომ შევხედოთ ახლანდელ წესდებას საყოველთაო სამხედრო სამსახურზე, შეიძლება ვსთქვათ, რომ ამ წესდებას დიდი მნიშვნელობა ექნება რუსის ხალხზე.

შევალი ღერებეკერი, რომელიმაც დასწერა რომანი „Заря новой жизни“, ცხადათ ხატავს იმ ლაზის ხალხის (ნეგრ.) მდგომარეობას ამერიკაში, რომელიც განთავისუფლდა თავის მებატონისაგან; ის თვალ წინ გვიყვენებს ამ დაჩაგრულ ხალხს, რომელიც განთავისუფლების შემდეგაც დიდ ხანს ვერ უსწორებდა თვალს თავის ძველ მებატონეს. მინ იცის, იქნება რუსის გლეხზეც იგრძნოს, როგორც ლაზებმა იგრძნეს, რომ იმათაც შეუძლიათ კაცობრიობის ცხოვრებაში მონაწილეობა მიიღონ და თავის მებატონესთან ერთ ჯამზე რუსული „შიის“ ხერევა გაბედონ.

იქნება იმ უმაღლესი საზოგადოების წევრებისგან, რომელიც, როგორც წინეთა ვსთქვით, უფრო ნასწავლია, უფრო გამოწვლია შინებულა, იქნება, ვინ იცის, ვამბობ მე იმათგან გლეხმა რაიმე ისარგებლოს და თავის თავიც გამოაშალაშინოს. ამას გარდა თუ კი ვლმწიფე რასაც ბრძანებს, ის უნდა ასრულდეს, მანიფესტის უკანასკნელი სიტყვები-

მე ჩემთან სთქვა, ფრანკუზებს შურცელაძის დარჩობას ურჩევდოა. რაღა ლაპარაკი უნდა, რომ ჩემი სიტყვები გამოწვევა ყველა ახალგაზრდებს, თითქმის ასოიდე კაცს, რომელითაც მე ძლიერ ხშირათ ამ საგანზე მილაპარაკნია, მასილ თარხანოვს სრულიად არ შეეხებოდა, ამიტომ რომ ამ სიტყვებით ცხადათ სჩანს, რომ მე გამოწვევა იმ პირებს, რომელითაც გავება და მიხვდებოდა აქეთ ამ გვარი ლაპარაკისა. მე ჩვეულებათ არა მაქვს იმ გვარ კაცებთან ლაპარაკის გამართვა, რომელიც — გონებითი გახსნით — ჩვენს მოხუცებზე ბევრათ მაღლა არა დგანან, და არა მაგონია, რომ ვინმემ გამართოს ამგვარი საუბარი პირველ შემხედარ უმეცარ და უსწავლელ იურკებთან. აქ მე იმასაც დაუმატებ, რომ როგორც უფ. შურცელაძე გააბრაზა ჩვენზე მისი „მტკიცე“ და სხვა სტატუტების „ქრებულში“ და „ღროებაში“ დაუბეჭდებლობამ, ისე უფ. მასილ თარხანოვსაც ჩარჩენია „ქრებულის“ რედაქციაში ორიოდე ვითომ-კომპილიტი, და ამ მიზეზის გამო უფ. შურცელაძეს ისეთი მოწყმე როდი უნდა მოეყვანა, რომელიც უწებურათ ყველას მელის და მისი კულის ამბავს ვახსენებ.

მაგრამ ამ შემთხვევას ერთი მეტის მეტათ შესანიშნავი კული მოაღვეს, რომელიცდაც მე მინდა მივაქციო განსაკუთრებით ყურადღება ჩვენი მკითხველებისა. მე დავეწერე „ქრებულში“ (მეშვიდე წიგნი, გვერდი 225, შენიშვნის უკანასკნელი ოთხი სტრიქონი): „შურცელაძე ხომ არა ვარ არ ვიცი, რომ საფრანგეთში ჩამოხრჩობით დასჯა კანონით ადრეაღებულია და იქური საზოგადოებრივი აზრის და წესობის წინააღმდეგია.“

მთავის „ქანასკნელ სიტყვაში“ უფ. შურცელაძე აი. რანაირათ ასხვეთერებს ამ ჩემს სიტყვებს:

საგან ჩვენ აღვიღო შევიძლია დავინახოთ... მის მიმართულება, რომელიც არის უმთავრესი დანიშნულება ამ მანიფესტისა.

მს არის ჩვენი აზრი ამ ახალ მანიფესტზე მედარწმუნებული ვარ, რომ ბევრი სულ სხვა აზრისა არიან საყოველთაო სამსახურზე.

მითომ სასაცილოთაც ავიგდო (სკანდელი) და დაამტკიცა ჩვენი უშეზღოვანო „მე ანტონ შურცელაძე არ ვიყავ, რომ არა მცოდნოდა, რომ საფრანგეთში კანონი სიკვდილით დასჯისა არ არის.

მე ვამტკიცებდი, თანხმად 1791 გამოცემული კანონისა, რომელიც დღემდინაც სრული ძალა აქვს საფრანგეთში, რომ იქ ჩამოხრჩობით დასჯა კანონით აღკრძალულია.

„აი შენც იტყვი... (ერთად და მე, სკანდელი) რა ლამაზთ იმხროდა და! როგორ კარგათ მომასწრო და დაამტკიცა ჩემი უშეზღოვანო! შურცელი, მკითხველო! ში ლაფის დასხმას! არ არის განა, უფ. სკანდელი, საფრანგეთში კანონი სიკვდილით დასჯისა!..

მეორე მონაწილე

ჩვენ ვატყობინებთ ერთს სამწუხარო ამბავს. ჩვენი ქვეყანა მოაკლდა ერთს სასარგებლო კაცს: იანვრის დამლევის შემთხვევაში გარდაცვლილია ბერასიმე სიმონისძე ძალანდარაშვილი, რომელიც თორმეტის თუ ცამეტის წლის განმავლობაში შეძლებისამებრ შრომობდა ჩვენი ხალხის განათლებისათვის.

წერილი აბაშაში.

— ახალიც გემო უფროსა საქალბო შკოლის სასარგებლოდ წარმოუდგენიათ ორი რუსული და ერთი ქართული პიესა (შემინდა კნენა გავხდე).

— ჩვენ მივიღეთ უფ. იოსებ მლიოზოვისაგან სტატია იმ ქართულს წარმოდგენებზედ, რომელიც ქართული სცენის მოყვარებმა იანვრის დამლევის და ფებერელის დამლევის მოახდინეს. სტატია ერთობ გრძელა და ამიტომ ვერ ვიშვებო.

გამო როსსელი?! ბურჟუა?! ათასობით სხვა კომუნის მომხრეები? ბანა ისინი შექარლამის ჯამით დიხობენ? რანკი? ბაზენი? ბანა იმათაც შექარლამის ჯამად გადუწყვიტა საფრანგეთის მმართველობაზე? საკვირველია! ხო იცით, რომ აგრეთი დასწავლი კაცი ბრძანდებოდა, რაღაც უფროდებოდა თავს ჩვენისთანა უშუფრის ხალხს პოლიტიკაში!

აი, ჩემო მკითხველო, სრული სურათი უფ. შურცელაძის ქუყსა, ცოდნისა და მოაზრებისა. მადასხვაფერა იმან ჩემი სიტყვები, სისულელე დასწერა ჩემ მაგიერ, ვითომ დაამტკიცა ამ სისულელის უშეზღოვანობა და დაარღვია მისი უსაფუძვლოება! ღა ის კი არ მოსდის თავში, რომ სხვები შენიშნავენ, რომ ეს სისულელე თვითონ მისგან არის შეთხზული, რომ ეს მისი დამტკიცება მის საკუთარს უშეზღოვანობას ამტკიცებს!

უფ. შურცელაძეს ერთი ოღნათ რომ მიანიც ჰქონდეს კანონების და პოლიტიკური ცხოვრების ცოდნა, იმას ძლიერ კარგათ ცოდნებოდა რომ: ა) როსსელი და ხერტიცეს სამხედრო სამართლის გადაწყვეტილებით იმ სამხედრო დანაშაულობისთვის, რომელსაც დევრეტერობა ჰქვია, ვსე იგი რომის მიტევა და მტრის (კომუნის) ბანაკში გადასვლა. ბ) ბურჟუა და დანარჩენი კომუნის მომხრეები და ხერტიცეს პოლიტიკური დანაშაულობისათვის კი არა, იმისთვის, რომ ისინი სამხედრო სასამართლომ დანაშაულათ იცნო ზოგი—ცეცხლის წაქიდვაში და საზოგადოან სახელმწიფოთ სახლებისთვის, ზოგი—მოაგარების კომპლასის და სამოქალაქო სხვა პირების უსამართლოთ მოკვლაში, ზოგი—მუხუშუმების გაფანტვაში, ერთი სიტყვით იმ გვარ დანაშაულებებში, რომელთაც საფრანგეთის სამოქალაქო სისხლის სამართლის სჯულდება სიკვდილით სჯის. გ) კომუნის მომხრეები სამხედრო სამართლის გადაწყვეტილებით და ხერტიცეს სულ ორმოცე დათ პირამდე, და არა ათასობით და ეს დასჯა გადაუწყვიტა მათ,

ლია და ამიტომ ვერ ვიშვებო. თუმცა უფ. მლიოზოვი ამ ჩვენს ქართულ წარმოდგენებს ერთის მხრით ღირსეულად აფასებს, მაგრამ ეს დაფასება ისე ძვირფასი არ არის ჩვენთვის, როგორათაც სურვილი, რომლითაც საზოგადოებრივი ქართული თეატრის მოთხოვნილება გამოიხატება.

„მს მშვენიერი ქართული ენა, ამბობს უფ. მლიოზოვი, რომელიც თეატრულს სცენაზედ უშეშვებს ბრწყინვალებას სცემს, არის ღირსი სასამოგნო და სასარგებლო. არა სჯობიან, მოვიბოვოთ რაიმე ღონისძიება იმის სამუდამოთ დაწესებისა? შეშვებოდა საგრძობობა, რომ საქართველო—მერეთს არა აქვს ბუნებით ენაზედ ეს უმთავრესი საგანი ყოველივე სწავლისა და ხეობის მმართველი.

„მე თითონა ვარო, განაგრძობს უფ. მლიოზოვი, ყოველ ნაბიჯზედ მხანავი, ოდეს 1850 წელს დაწესდა ქართული თეატრი, თუ როგორის სახით სწარმოებდა და ხალხი ღიღის აღტაცებითა და მოუწყინარის მხარულებითა მისწრაფოდნენ თეატრში ნახვისათვის ქართულთა წარმოდგენათა.“

სტატის ბოლოს უფ. მლიოზოვი გ. მრისთვის მოღვაწეობაზედ ლაპარაკის დროს ისეთს თხზულებებს ასახელებს, რომელნიც დაბეჭდილი არ ყოფილა და ხელნაწარიც არსად იპოვება, აი მაგალითად: „ამამისარი პატარა ქალაქისა“, „პარაპეტა ქვეყრი“, „ბეზის მოშივი“, „სტანციის სმოტრიტელი“, „მეფევის ტყაოსანი“ სცენისათვის გადაკეთებული. მსენი მრისთვის ნაწერი არიანო. ამათ გარდა მოხსენებულია შემდეგი პიესები: „ორი მდგური ერთ ეზოში“, „ფაშის თეთრი დათვი“, „ეჭვიანი ქმარი“, „პაპა და შევილის შევილი“, „კუკიაში სახლი ქირით“.

„დროისა“ კორესპონდენცია

მოსკოვი, 23 იანვ. 1874 წ.

ხშირად გამიგონია საყვედური, რომელსაც სხვა და სხვა ადგილებიდან უძღვნიან ლიტერატურის მოყვარენი მოსკოვში მყოფთ

აგრეთვე როგორც რანკს და ბაზენს, სასამართლომ, და არა მმართველობამ, რომელსაც არც საფრანგეთში, არც არსად, უფლებება არა აქვს ვისიმე გასამართლებოს. ე) რანკს გადაუწყვიტეს სიკვდილით დასჯა აგრეთვე უბრალო და არა პოლიტიკური დანაშაულებებისთვის; ე) ბაზენს ხომ ყველა იცის რისთვის და რა სამხედრო დანაშაულობებისთვის გადაუწყვიტეს სიკვდილით დასჯა.

ამას შემდეგ სასამოგნო უნდა იყოს ამ სტრიქონების გადაკითხვა. „აი მეცნიერი! რა ლამაზათ იმხროდა და! როგორ კარგათ მომასწრო და დაამტკიცა ჩემი უშეზღოვანო! შურცელი, მკითხველო, შენთანა! ში ლაფის დასხმა!“

მოდ და ამგვარი ცოდნის და მოაზრების კაცს პოლიტიკაში შევიბო და სამეცნიერო საგნებზე ლაპარაკი გაუმართო! მაშასადამე ჩვენ საფუძველი გვექონია, როცა მისი ვითომ-მოაზრების დარღვევას არ ვკადრულობდით და მართო მის ცილის-წამებას ეშინჯადით, მართო მათ საბუთებს ეთხოვლობდით. მსლა ხომ ცხადია, რომ ეს საბუთები უფ. შურცელაძეს არა ჰქონია, რომ მისი ცილისწამებები მართო გამაწარებელი თამოყვარების თხზულება ყოფილა. მსლა, როცა ჩვენი დეა ამ გვართ თაგდება, როცა ვერც მოაზრებით, ვერც შეწყობებით ვერ გამიარჯვა ჩვენზე ამ ახირებულთა ვითომ-მწერალმა, როცა ვერც ხეობითად, ვერც ფიზიკურათ ვერ მომკლა, იმას ერთილა გზა დარჩენია, რომელსაც ის „უკანასკნელ სიტყვია“ კიდევ სმარობს. მადაკითხეთ მეათე წიგნის 149 გვერდი და ის ნომრები რუსული გაზეთისა, რომელსაც ანტ. შურცელაძე იქ იხსენებს, და ნანათ, რომ ჩვენ—ღღის იქით—უფ. შურცელაძისაზედ ბეზლობას უნდა ველოდეთ, ვსე იგი იმ ვითომ-მწერლობის იარაღის ხმარებას, რომელიც

ქართველებს. ამთ ყაყვედურებიან იმითომ, რომ ესენი არა გზანინან კორესპონდენციებს მოსკოვიდან. ამაზე მე შემძლიან ეუბასოხო, რომ კორესპონდენციების არ ქმარა მართო სურვილი თვითონ კორესპონდენტისა, არამედ უნდა იყოს საგანი, რომელმაც უნდა მიიზიდოს მკითხველების ყურადღენა. ში ამისთანა საგანი არ არის, მაშინ კორესპონდენციას არ უნდა ექნეს ადგილი. კორესპონდენცია ამ გვარ საგანზე რომ კიდევცა გაიგზანოს რედაქციაში, ამან არ უნდა დაბეჭდოს, თუ ეს აფასებს თავის მკითხველების ყურადღებას.

მე ვერ ვიტყვი, რომ მოსკოვში მართლა ვერ ნახოს კაცმა ყურადღების ღირსეული საგნები, მაგრამ მგონია, რომ ჩვენი საზოგადოებისთვის ის უფრო საინტერესო იქნება, რაც იმას უფრო ეხება, რასაც იმასთან შეტადან ნაკლებად კავშირი აქვს. ამისთანა საგნებზე მოიძებნება, მაგრამ კორესპონდენტი ამ შემთხვევაში იძულებული იქნება თავის წერილში გამოიყენოს ცუდი მხარე და სამწუხარო მოვლენა. ამ ვალდებულების არაულება, რასაკვირველია, ადგილი არ არის.

ბა, მითხარი, მკითხველო, ესამოგნება კორესპონდენტს, შეუძლია მას გულაუღელვებულთ მოგითხროს შემდეგი შემთხვევები ნათ მაგალითები? მართალი სტუდენტი, რომელიც ათავის კურსის მედიკურ ფაკულტეტზე და აპირებს საქართველოსკენ გამგზავრებას, არდგენს ანაირ პლანს: „მე კვირაში ერთხელ დავინიშნავ საათს, როდესაც მივიღებ ღარიბ ავთამყოფებს უფასოთ. მს ჩემთვის ძრიელ სასარგებლო იქნება იმით, რომ ავთამყოფს არ ვყოფა კვირაში ერთხელ ექიმის რევე. ამიტომ იგი იძულებული იქნება მოვიდეს ჩემთან იმავე კვირაში და მაშინ, რასაკვირველია, უნდა მომცეს ფულიები“. მკითხველო, როგორია ეს მოტივი თვითონ შენ გასინჯე. მე მგონია, რომ იმაში გამოხატება უმეტესი ხარისხის ეგოიზმი, რომელსაც აქ ხშირად შეხედებო. შკოისტიკურ მიმართულებას ერთი აჩენს იმით, რომ მიიღტვის დაკარგოს თავის ხალხსანობა, დაიფიყოს თავისი დედა ენა და გადაიდეს მეორე ხალხსანობაში, რადგანაც ამ გადასვლით იგი მოკლის უკეთესი ადგილის მოენას, მაღე აწევს, შეტს ჩინებას და სხვ. და სხვ. მეორე ეხვევა საზოგადო ხაზინის ცარცვას და პირველი ნაბიჯი ამ გზაზე იყო ამხანაგების ბიბლიოტეკის უსირცხვილოდ გაქურდა. მეტი მაგალითების მოყვანა არ არის საჭირო: ამისთვის მთელი წლის „დროისა“ ნომრებიც არ ქმარა. იქნება მე მითხრან, რომ ეს ცეცალკევებული მაგალითები არავისთვის არ არის საინტერესო. იქნება მითხრან, რომ მე უნ-

რუსეთში „მოსკოვის უწყებებმა“ შემოიღეს, და რომელსაც მთელს რუსეთში დონოსების მწერლობას უმხანია.

მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამ ამარჩუნებდა იმას ისეთივე დაგვირგვინება მოკლის, როგორიც მწერლობაში მიიღო.

„მაგან (სკანდელი)—სწერს შურცელაძე, „მოსკოვის უწყებების“ მიზანით—უნდა წარმოადგინოს სია (ემიგრანტების) კასის შემდგენი ამხანაგობისა და ყველა იმათი ხელწერილი, რომ მაგას არაოდეს არ გაუცარცვას ემიგრანტების კასსა და არ გაქცეულა.“

ამ ქვამთ, იმას გარდა რაც ჩვენ „ჩემ პიროვნობაში“ ამ საგანზე დაწერეთ, ჩვენ უფ. შურცელაძეს უბასუხებთ მართო—ვერ მოგართოთ თქო. მაგრამ არც სრულიებით მოუსპობთ ამაში დაკმაყოფილების იმედს. როცა უფ. შურცელაძე ცისფერათ შეიმოსება და ვერცხლის სხივებს შეიკიდებს, მაშინ, თუ შოითხოგეს, აფსხნით ამ საქმეს, ამიტომ რომ მაშინ მეტი ღონე აღარ გვექნება, მაშანდის კი—ნურას უკაცრავათ!

სკანდელი

გუბერნიამი მგზავრობის დროს მიმიღია. მს უზარმაზარი მთები ლეჩხუმსა, რაჭასა და იმერეთს რომ შემორტყმიან, ისე საყვარელია ჩემთვის, როგორც სამხრეთ რუსეთის სამშობლო მიწებზე...

ამ გრძობებით აღვსილი მე ჩემს უწმიდეს ვალად ვრაცხ გამოვეუცხადო მადლობა შემდეგი საზოგადოებების მოხელე პირთა რაჭის უფლები: ლების, ზოლოლის, უწერის, მსის, წილისის, ჩასაგლის, ნაქერების, შქმერის, სხევის, ნიკორაწმინდის, ნამალევი-მხმარის, ცანის, ტოლის, სადმელი, წვისის და ლიხეთის საზოგადოებათ მოხელე პირთა. ლეჩხუმის უფლები: მეკენის, ალაპანის, მრბელის, ლახვანის, ზუბის, ჩოლურის. მუთაისის: უფლები: ნამახანის მამასახლისის თანაშემწეს და საწირის მამასახლისს.

ზანსხევებულს მადლობას ვუძღვნი ზემო ჩიონის სატყეო მაზრის ზედამხედველს პონსტანტინე ჯანელიძეს, რაჭის უფლის ს. ჩასაგალში ნამამასახლისეც მსს მგია ხონჩოშვილს, ტყის-მცველს ლების სახანო აგარისას მელას და სადმელის ტყის მცველს შორასას. მს კაცები დიდ ხანს ყოფილან ჩემთან მთებში სიარულის დროს და ჩემსავით ითმენდენ სიცივესა და შიმშილსა და მამაცურად უმაგრდებოდნენ თოვლსა და წვიმას. ამათ ერთხელაც არ გამოუცხადებიათ ჩემთვის არავითარი უკმაყოფილებას თუმცა ხშირად ფეხშიშველად, გაცვეთილი ქალამით უნდა აესულიყავით თოვლიანს მთებზე და საშიშარს კლდეებზე.

სულით და გულით გამეზარდება, თუ ეს ჩემი ღრმა მადლობის გრძობა, რომელსაც ჩემის მამულიდგან ვაგზავნი, ხსენებული პირების ყურამდის მაწევს; მაგრამ კიდევ უფრო მიამება, თუ ოდესმე ხელმეორედ ჩემგან დავლილი ადგილები ენახე და პირადი მადლობა ვუთხარი ყველა იმათ, რომელნიც მე თანაგრძობითა და რჩევით ჩემს შრომაში შემეწივნენ.

ბ. სტენდისი.

ნამდვილი წვერი ნოვოროსიის ბუნები გამოძიებულთ საზოგადოებისა.

მდესა.

28 იანვარს, 1874 წ.

რუსეთი

ხელმწიფე იმპერატორმა, მისის იმპერატორებითი შმალესობის მარამ აღექსანდრეს ასულის ქორწილის სასახლოდ, მინისტრთ კომიტეტის აზრის თანხმად, ყოველად უმოწყალესად ინება 9 იანვარს 1874 წ. რომ იმ პირთ, რომელთაც 1871 წლის პირველ იანვარდის სახელმწიფო დანაშაულობა დაბრალდა და რომელთაც მასაქეთ ახალი დანაშაულობა არ შემჩნევათ, შემდეგი შემსუბუქება მიენიჭოს:

1. მისაც ყოველივე განსაკუთრებითი პირიონად და მდგომარეობით მითვისებული უფლებები ჩამორთმევი და შორს გუბენიაში, ან სიბირში საცხოვრებლად გაგზავნილა, იმათ მიენიჭება პირიონადელი უფლებები და იმათ შეიღებესაც რომელნიც იმათ დასჯის შემდეგ დაბადებულან.

2. მინც ამ გვარ პირთაგანი სიბირში იმათ შეუძლიანთ, თუ სურთ, გადმოსახლდნენ შუა რუსეთის გუბერნიებში, მთავრობის დანიშნით.

3. მინც კი ამათგანი მერაპის რუსეთშია

პოლიციის ზედამხედველობისაგან უნდა განათავისუფლდნ იმ პირთგან, რომელიც დადგენილია ყოველად უმოწყალესის მისის იმპერატორებითი დიდებულების ბრძანებით 13 მისის 1871 წ. ზოგიერთი დამნაშავეების სასჯელის შემსუბუქებაზედ.

4. მინც ეხლა განთავისუფლებულია პოლიციის ზედამხედველობისაგან ხსენებულის შმალესის ბრძანების ძალით, იმათ სამსახურში შესვლის უფლება მიეცემათ იქ, საცა იმათ ცხვრების ნება აქეთ.

5. ამ გვარისავე პოლიციის ზედამხედველობისაგან განთავისუფლებულებს, რომელნიც უფლების მოუკლებლად იყვნენ საცხოვრებელის ადგილიდგან გაგზავნილნი, ნება მიეცემა სამშობლო ალაგას დაბრუნდნ.

რუსო ქვეყნები

საზრანგეთი

პარიზი, 31 თებერვალი 1874 წ.

მხლანდელი საფრანგეთის ფინანსიური მდგომარეობა იმათ ღირს, რომ პოლიტიკოსებმა და სახელმწიფო მაშინის მმართველებმა ჯეროვანი ყურადღება მიაკციონ. ბჭური მმართველობისაგან გამოცხადებული შემოსავალ-გასავლის ანგარიში ერთხელ კიდევ ცხადთ გვარწმუნებს, თუ რა ეფწრო დამოკიდებულება არსებობს რომლისავე ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიურ მდგომარეობათა შორის; ეს ანგარიში გვარწმუნებს, რომ რამდენათაც მმართველობა უფრო შეთვისებულია ხალხის ხასიათთან, რამდენათაც ხალხის პოლიტიკური მდგომარეობა უფრო დამკაყოფილებელია ყველა მოქალაქისა, იმდენათ იმის ეკონომიური მდგომარეობაც უკეთესია; და წინააღმდეგ ამისა, რამდენათ პოლიტიკური მდგომარეობა არ აკმაყოფილებს ხალხს, რამდენათ ხალხი შეეწროებულია, — იმდენათ იმის ეკონომიური მდგომარეობა ცუდია, იმდენათ იმის ეჭრობა და წარმოება სუსტობს.

მართლაც, ზემოხსენებული საფრანგეთის შემოსავალ-გასავლის ანგარიშიდამ სჩანს, რომ ტიერის პრეზიდენტობის დროს, როდესაც ხალხი, ცოტათ თუ ბევრათ, დარწმუნებული იყო, რომ რესპუბლიკა და თავისუფალი წესები ცოტათი მაინც მოიდგამდნენ საფრანგეთში ფეხს, ვაჭრობა და წარმოება, კარგათ თუ არა, ერთ რიგათ მაინც მიდიოდა, გასავალი შემოსავალს არ ემატებოდა მაინც. მაგრამ შარშანდელი 24 მაისის შემდეგ, როდესაც მმართველობის ადგირი თვითონ გაკატრებულმა ბრაჰიმ ჩაიგდო ხელში, როდესაც ნაციონალური კრების კონსტიტუციონერმა დიწყეს მეცადინეობა, რომ რესპუბლიკა მოესპოთ და საფრანგეთის კისრზე ბურბონის ტახტი დაედათ, როდესაც ხალხს შეეწროებას და სხვა და სხვა უფლებათა წართმევას ემუქრებიან, — მას აქეთ ვაჭრობა და წარმოება თან და თან უკან მიდის, სახელმწიფო შემოსავალი არ ჰყოფნის სახელმწიფო გასავალს.

ფინანსის მინისტრს, უფ. მანს, რასაკვირველია, არა ეინ არ გამტყუნებს, რომ ის, ამ სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის გათანასწოებისათვის ახლგადასახანს დაეძებს. მაგრამ უბედურება ის არის, ის დაეძებს იქ, სადაც არ უნდა ეძებდეს, ისეთ წო-

დებას ადებს ხარჯს, რომელიც უმისოთაც დატვირთულია სხვა და სხვა გადასახადითა, რომელსაც შეძლება არა აქეს, და შეძლებულებს კი ჯიბეზე ხელს აფარებს. ყველა ეკონომიურათ დწინაურებულ სახელმწიფოებში სტდილობენ ეხლა, რომ მხოლოთ ისეთ საქმეს დაადენ ან მოუმატონ ბაჭი და გადასახადი, რომელიც ყველასთვის აუცილებელ საქიროებას არ შეადგენს, რომელიც მხოლოთ მიდრებს იაჩნათ თავიანთთვის საჭიროთ და ღარიბები კი უმისოთაც გასძლებენ (მაგ. ოქროსა და ვერცხლის ნივთები, და სხვა და სხვა თვლ-მარგალიტები და სხ.) უ. მანი კი ისეთ ს-გნებს უმატებს გადასახანს, ურომლოთაც ხალხს გაძლება არ შეუძლია, რომლის გაძიერება ხალხს შეევიწროებს და კიდევ უფრო დაღარიბებს (მაგ. მარილს, რკინის გზის ბაჭს.)

პი, ამ ახალ გადასახადებზე არის ეხლა ნაციონალურ ქრებაში მოლაპარაკება. მასაკვირველია, რომ რესპუბლიკელი პარტია ამ მოლაპარაკებაში თითქმის არავითარ მონაწილეობას არ იღებს, თითქოს ეს საქმე მერების დანიშნაზე, რამდენიმე გაზეთის აღკრძალვაზე და ან სხვა რომელსავე საპოლიტიკო კითხვაზე უფრო მცირე ყურადღების ღირსი იყოს. მდღარდ ლოკრუას მეტს თითქმის არც ერთს რესპუბლიკელს ხმა არ ამოუღია ჯერ სხდომებზე.

მაგრამ მდღარდ ლოკრუას სიტყვა სწორეთ ხუთ სიტყვათ ღირდა და მამბეტას მომხრე „წმინდა რესპუბლიკელები“ თავის დღეში იმისთანას არაფერს არ წარმოსტყვამენ. მოგიყვანთ ამ შეენიერი და ჭკუიანი სიტყვიდამ ერთს პატარა ნაჭერს, რომლიდამაც თქვენ ცხადთ დაინანეთ, რომ ლოკრუა თამამად ეხება იმ სოციალურ კითხვას, რომელზედაც ეხლანდელ კრებაში კაცი ხმის ამოღებასაც ვერ ჰბედაეს:

„ძველი, შთამომავლობითი არისტოკრატის მაგიერათ, ახალი, ფულის, კაპიტალისტების არისტოკრატია გაჩნდა ჩვენში. მს ახალი არისტოკრატია ისეთივე მტარვლია, როგორც ძველი, მაგრამ იმას რაინდული ხასიათი აქლია. მამულების მაგიერათ, იმას ფულით გატენილი სივრები აქეს; ის არის ერთათ-ერთი ბატონი მმრძანებელი და გამგე ჩენი წარმოებისა, ყველა ჩენი დიდი და პატარა საქმეებისა; იმან დაამცირა ეხლანდელი საუკუნე! ისინი მეფობენ, იმათ ხელშია კანონების გამოცემა. ნაპოლეონის დროს თითქმის მთელი პრესა, ყველა გაზეთები იმათ ხელში იყო. ჩვენ გვეგონა, რომ იმპერიასთან ამათაც ბოლო მოედებოდა შეგვსდით: ისინი ეხლაც ისე ძლიერნი არიან, როგორც ადრე!

„წადით, უთხარით ვაჭრობას! თქვენ შამოსავალი უნდა მოგვეთ! შთხარით გლესს: თქვენ თქვენი შრომის მომეტებული ნაწილი უნდა დაგვითმოთ! შთხარით მუშას: თქვენი დღიური ქირა ჩვენია! და ყველა ეს მხოლოთ იმისთვის, რომ კიდევ უფრო გაგამდიროთ ფულის არისტოკრატია!

„უფრთხილდით! თქვენ მხოლოთ მიდრების სასარგებლოთ სცემთ პოლიტიკურ და ფინანსიურ კანონებს. ამ გვარი წყობილობა საფრანგეთს სიკეთეს არ დაყრის! თქვენ ვინდათ ყველა საქმეებში უპირატესობა ფულის პატრონებსა, ე. ი. ტუთილა მჭამელებსა და მცარცველებს მიენიჭოს!“

პი, ამისთანა დროს, როდესაც საფრანგეთი ამისთანა გაჭირებულ მდგომარეობაშია, უფ. რუერმა, ნაიპვერატორალი ნაპოლეონის მეუღლის, მეგენის, ვეკილმა წარმოუდგინა მერსალის ნაციონალურ კრებას თავის მრწმუნებელის ანგარიში და ორ გამოჩენილ მუზეუმს და რამდენსავე მილიონონს

თხოულობს, რომელიც, ეთომ, იმას ს-გ-რანგეთში ეკუთვნის! მასაკვირველი საქმე უმარტობაა! მს ცი ყალბით ყელამდი საესე მოვიდა საფრანგეთში, ქვეყანა დაღუპა, ოცი წლის განმავლობაში სცარცვა და ზნეობით და მატერიალურად დასცა, რამდენიმე მილიონი ინგლისის ბანკებში გადიტანა; და ეხლა, როდესაც ბედა მოაშორა ის საფრანგეთს და მოკვდა, სამარადამაც არ აძლევს მოსვენებას და კიდევ თავის უფლებებს აცხადებს! მაგრამ ყველაზე უფრო სასიარცხო ის იქნება, რომ მერსალის ნაციონალური ძრება აღიარებს იმის მოთხოვნილებას კანონიერად და იმის მემკვიდრეებს დააკმაყოფილებს! ამ გვარი საქმეები ეხლანდელი მმართველობის ხელში არ უნდა გაგვიკვირდეს....

შურადების ღირსია ის ამორჩევებითი მოძრაობა, რომელიც ალხას-ლორენში იყო ამორი კვირის განმავლობაში. ახლად დაპყრობილ ორ ბერმანის პროვინციას პრუსიის რეისხტაგისთვის რამდენიმე დეპუტატი უნდა ამოერჩიათ. ამათ ყველა ისეთი დეპუტატები აირჩიეს, რომელნიც წინააღმდეგნი არიან ბერმანისთან შეერთებისა და საფრანგეთისაგან ძალდატანებით მოშორებისა. ამბობენ, რომ ეს დეპუტატები მხოლოთ შევლენ რეისხტაგში, გამოაცხადებენ თავის პროტესტს (წინააღმდეგობას) მათი სამშობლოს ძალათ დაპყრობაზედა და მერე დეპუტატობას ისევ თავს დაანებებენ.

ამ თვის ცხრამეტს აქ გამოვა მიქტორაჰიუგას ახალი რომანი, რომელსაც სახელად ერქმევა: „ოთხმოცდა ცამეტე“ (ე. ი. ათას შეიდას ოთხმოცდა მეცამეტე წელიწადი — საფრანგეთის დიდი რევოლიუციის დრო). თქვენ წარმოიდგენთ, როგორ მოუთმენელად უნდა მოელოდნენ აქ ამ წიგნის დაბეჭდვას. მთელი რომანი სამწაილათ იქნება გაყოფილი: პირველ ნაწილს ერქმევა — „ზღვაში“, მეორეს — „პარიზში“ და მესამეს — „მანდეში“. ამავ დღეს ეს წიგნი ათ სხვა და სხვა ენაზე გადმოთარგმნილი გამოვა ინგლისურად, იტალიურად, ესპანიურად, პოლტუგალურად, რუსულად, პოლშურად, სვედურად, ვენგრიულად, ჩეხურად და პოლონდურად. შენიშნეთ ხომ, რომ ამ სიაში ნემეცური ენა აქლია! მას აქეთ, რაც „Liberation du territoire“ გამოსცა მიქტორაჰიუგამ, ნემეცებს ის არ უყვართ მაგრამ, როგორც ამბობენ, ეს ეხლანდელი ქვეყნის პირველი პოეტი ნემეცების სიძულვილით ამაყოფის.

ბ. მესხი.

объявление.

Считаю долгомъ уведомить почтеннѣйшую публику, что на Базарной улицѣ, въ домѣ Тамашева, около Казенной Палаты, я открылъ типографію, гдѣ принимаются всякаго рода типографскіе заказы и работы, которые исполняются весьма аккуратно.

Евмій Хеладзе.